



ნომადი ბართაია /ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი/

სამი პერიოდი საქართველოსა და ირანელ ქართველთა ურთიერთობაში

შაჰ-აბასის მიერ ირანში გადასახლებულ ქართველთა რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემებით 100 ათასიდან 300 ათასამდე მერყეობს, რომლებიც მიმოფანტულად ჩაუსახლებიათ ირანის სხვადასხვა მხარეებში. დღემდე მათგან მხოლოდ ფერეიდნელებს შეუწარმუნებიათ მშობლიური ენა, დანარჩენები ადგილობრივ მოსახლეობას შერევიან და მათ მესსიერებას ისღა შემორჩენია, რომ იციან წარმოშობით ქართველები არიან.

ირანში ქართველთა გადასახლების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგი ცნობა გვაქვს: “წარიყვანა აყრილნი კახნი ტყვედ, და დასხნა რომელნიმე მაზანდარას, ხვარასანს და ფერიასა“ („ქართლის ცხოვრება“, 1959: 401). მათთან პირ-ველი შეხება კი მოხდა 1871 წელს, როცა პირველად დადგა ფეხი ფერეიდნელმა ქართველმა საქართველოს მიწაზე. მანამ კი, მთელი ორსაუკუნენახევარი, ბნელით იყო მოცული ჩვენთვის მათი არსებობა.

ამგვარად, საუკუნენახევარია, რაც დამყარდა ჩვენი კავშირი ირანელ ქართველებთან. ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე ეს ურთიერთობა ერთნაირი არ იქნებოდა, მას განვითარების თავისი დინამიკა გააჩნდა და გააჩნია, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება სამი პერიოდად დაიყოს:

პირველი პერიოდი 1871—1971 წლები

მეორე პერიოდი 1972 — 1996 წლები

მესამე პერიოდი 1996-დან — დღემდე.

რატომ მაინცდამაინც ეს წლები და რა განასხვავებს ამ პერიოდებს ერთმანეთისგან? შევეცდებით გავცეთ პასუხი.

პირველი პერიოდი:

პირველი პერიოდი დაიწყო მაშინ, როცა საქართველოში ირანიდან 1871 წელს პირველად ჩამოვიდა ქართველი კაცი ათამ ონიკაშვილი და ჩამოიტანა ამბავი იქაურ ქართველთა შესახებ. მალე მის კვალს გამოჰყვნენ: ყოლამრეზა ხუციშვილი და ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი (1896), მუჰამედ მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულაპი (1900-1902), მაჰმუდ მაყაშვილი (1905-1906) და სეიფოლა-ხან იოსელიანი (1922), რომელთაგან, მოვლენათა შემდგომი განვითარების საქმეში, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ათამ ონიკაშვილსა და სეიფოლა იოსელიანს.

ათამს დიდი სურვილი ჰქონია ირანელი ქართველების საქართველოში ჩამოსახლებისა, ამის შესახებ მას

მთავარმართებლისა და გრიგოლ ორბელიანისთვის მიუმართავს: შეიბრალებთ სპარსელ ქართველნი, მიხედეთ მათ ტანჯვა-მწუხარებას და მოგვეციტ დახმარება წინაშე მთავარ-მართებლისა, რომ ჩვენ საბრალო ქართველთა თხოვნას ყურადღება მიაქციონ და სპარსელი ქართველნი დაიხსნან სპარსთა ტყვეობისაგამ (ჭიჭინაძე, 1895: 36).

გრიგოლ ორბელიანს ათამისთვის ასეთი პასუხი გაუცია: „ძმაო! ჩვენში არაფერი საზოგადოება არსებობს; მე ვერ გავგებდე ეს თხოვნა, იმიტომ, რომ არაფერი იქნება, ჩვენ თხოვნას არ შეიწყნარებენ, იქიდან აქ ხალხს არ გადმოსახლებენ. ან რა საჭიროა მათი აქ გადმოსახლება, იყვნენ იქ, იცხოვრონ მშვიდობით და ხანდახან აქაც მოვიდნენ“ (ჭიჭინაძე, 1895: 36-37).

ათამს ეს პასუხი ძალიან სწყენია.

ამის მერე „გულგატეხილი ათამი, დამეგობრებულა საგარეჯოს დეპოს მწარმოებელ ამხანაგობასთან და მალე ამ დეპოში დახლიდარად დამდგარა, მონათლულა კიდევ, მისთვის აღექსანდრე დაურქმევიათ, ქალიც შეურთავს, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზით, 1880 წელს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუსრულებია.

მოკლედ, პირველი მცდელობა, ირანელ ქართველთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, უშედეგოდ დამთავრებულა.

ისტორიულ სამშობლოში ირანელ ქართველთა სტიქიურად დაბრუნების მცდელობაც კი ყოფილა, მაგალითად, 1654 წელს. სამწუხაროდ, ამ მცდელობას 165 ქართველი შეეწირა (ონიკაშვილი, 2004: 62).

ფერეიდნელი ქართველები არამხოლოდ ფიქრობდნენ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებზე, არამედ, ამ მიმართულებით მოქმედებდნენ კიდევ. ამ მხრივ აღსანიშნავია სეიფოლა-ხან იოსელიანის მცდელობა, მას, ამ საკითხთან დაკავშირებით, 1943 წელს, თეირანის კონფერენციაზე ჩამოსულ სტალინისთვისაც კი მიუმართავს. სტალინს მისთვის პასუხად გაუცია, რომ ახლა ამისი დრო არ არის და ამისთვის მერე მოვიცლიო.

ფერეიდნელ ქართველებს დიდი სურვილი ჰქონიათ განათლების მიღებისა, რისი გამოხატულებაც იყო სეიფოლა იოსელიანის მიერ საქართველოში ჩამოსვლა და აქედან დედაენის წიგნების ჩატანა ფერეიდანში, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართული ენის შესწავლას ფერეიდნელ ქართველებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან, სახელმწიფოებრივ დონეზეც კი, ყოფილა მცდელობა ფერეიდნელ ქართველებში ქართული განათლების შეტანისა. მაგალითად, ირანში, განათლების კომისარიატიდან, ფერეიდნელთა ცხოვრების შესასწავლად და აღსაწერად ჩასულა ნ. ყარანგოზაშვილი. აი რას წერს ამის შესახებ ამბაკო ჭელიძე: “მისგან (ნ. ყარანგოზაშვილისგან ნ. ბ.) მივიღე აგრეთვე მოკლე წესდება ტფილისში დაარსებულ კულტურული

საზოგადოებისა, რომელიც მიზნად ისახავდა კულტურულ მუშაობას ქართველ მაჰმადიანებში. მან ჩამოიტანა ერთი ყუთი ქართული წიგნები, უმთავრესად სასწავლო სახელმძღვანელოები და ბელეტრისტული ნაწარმოებები იმ მიზნით, რომ გაგვევრცელებია ფერეიდნელ ქართველებში, განათლების კომისარიატის სახელით“ (ჭელიძე, 2011: 29).

არამცთუ ქართველები ითქვიფებოდნენ ირანელებში, არამედ ეს პროცესი პირიქითაც ხდებოდა. არაერთი შემთხვევაა, ფერეიდნელებთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ქურობებისა და ბახთიარების გაქართველებისა.

1872 წლიდან ქართულ პრესაში (“დროება“, “ისარი“, “ამირანი“, “მწყემსი“, “ნაკადული“, “ნიშადური“, “ცნობის ფურცელი“) ფერეიდნელთა შესახებ, არც თუ ისე ხშირად, მაგრამ ქვეყნდება ინფორმაციული ხასიათის მასალები.

პირველი, ვინც საქართველოდან ფერეიდანში ჩავიდა (1896-1898წწ.) და იქაურობა აღწერა, ლადო აღნიაშვილია.

ასევე ამბაკო ჭელიძემ იმოგზაურა ფერეიდანში 1827 წელს და დაგვიტოვა შთაბეჭდილებათა წიგნი (ჭელიძე, 2011).

ორივე წიგნი ფასდაუდებელი განძია ფერეიდნელ ქართველთა ყოფის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

საბჭოთა პერიოდში გართულდა ურთიერთობა ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის, ერთმანეთისთვის მიუღებელი საბჭოთა და შაჰის რეჟიმების გამო. საქართველოც, როგორც საბჭოეთში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკა, მოკლებული იყო ყოველგვარ პირდაპირ კავშირს ირანთან. იშვიათად თუ მოახერხებდა ვინმე ამ დროს ირანში ჩასვლას, ან ირანიდან საქართველოში ჩამოსვლას. ამწინხის პირობებში, 1945 წელს, მაინც შეძლეს ფერეიდანში ჩასვლა ირაკლი კანდელაკმა და გიორგი ასათიანმა, რომლებმაც შექმნეს დოკუმენტური ფილმი ფერეიდანზე.

ასევე 1969 წელს ირანში ჩასვლა და ფერეიდანზე დოკუმენტური ფილმის გადაღება მოახერხა რეჟისორმა გურამ პატარაიამ, ოპერატორ ირაკლი ონოფრიშვილთან ერთად. ჯგუფში იყვნენ ირანისტი მაგალი თოდუა და ჟურნალისტი ლამარა ბოკერია.

ამ დროსმაგალი თოდუამშეძლო ფერეიდნელებისგან ფირზე ჩაეწერა ენობრივი მასალა და ჩამოეტანა საქართველოში, რომელიც შემდეგ დამუშავებული იქნა ენათმეცნიერულად მაია მაჭავარიანის მიერ. უფროადრე კი 1923-1927 წლებში, ათამ ონიკაშვილის ჩანაწერებზე დაყრდნობით, არნოლდ ჩიქობავამ ენათმეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნა ფერეიდნულ მეტყველებას.

საქართველოსადა ფერეიდანს შორის ურთიერთობათა პირველი პერიოდი ორ მონაკვეთად შეიძლება დაიყოს. პირველი მონაკვეთი მოიცავს ურთიერთობებს მეფის რუსეთის პირობებში, მეორე კი - საბჭოთა კავშირისას.

იდეოლოგიურმა ანტაგონიზმმა ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის მეტად უარყოფითად იმოქმედა საქართველოსა და ფერეიდნელთა შორის ურთიერთობების დამყარებაში. თუ ადრე საქართველო-ფერეიდანს შორის მიმოსვლა შეზღუდული არ იყო და იგი პირად სურვილსა და შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული, საბჭოთა ხანაში იგი პრობლემად იქცა. ხოლო თუ რა ძნელი იყო ამ დროს საბჭოთა კავშირისა და ირანელი მოქალაქის ურთიერთ დაკონტაქტებაც კი, ამის შესახებ ნათლად მეტყველებს ერთი დეტალი ჩვენი ირანში ყოფნიდან:

1960-იან წლებში ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის, მიუხედავად იდეოლოგიური ურთიერთდაპირისპირებისა, დამყარდა ეკონომიკური ურთიერთობანი, რაც ძირითადად, საბჭოთაიადი მუშახელის არსებობით იყო გამოწვეული. ამდროს ირანში საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა სახის მშენებლობას, მათ შორის, ისფაჰანთან ახლოს, მეტალურგიული ქარხნისას, სადაც, სხვა საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად, მივლინებული იყვნენ სამუშაოდ ქართველი სპეციალისტებიც.

ამ დროს ისფაჰანში არსებობდა სამშენებლო სასწავლო ცენტრი, რომელიც, სხვადასხვა სპეციალობით, ამზადებდა მეტალურგიული ქარხნისთვის მშენებელ კადრებს. სასწავლებელი დაკომპლექტებული იყო საბჭოთა და ირანელი კადრებით. საბჭოთა სპეციალისტები, თარჯიმნების საშუალებით, გადასცემდნენ თავიანთ ცოდნას ირანელებს.

1970-1971 წლებში, საბჭოთა კავშირის საშუალო და უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ, როგორც სპარსული ენის თარჯიმანი, მივლინებული ვიყავი სამუშაოდ, სწორედ, აღნიშნულ სასწავლებელში.

საბჭოთა სპეციალისტებს, ოფიციალურად, უფლება არ გვქონდა არასამსახურებრივი კავშირები დაგვეყარებინა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მითუმეტეს, ქართველებს- ქართველებთან და, აი, ერთ დღეს, როცა დაირეკა ლექციის დამთავრების მაუწყებელი ზარი და სტუდენტები აუდიტორიებიდან დერეფნებში გამოიშალნენ, ხმაურში, შემომესმა ვილაცის ხმა — „გამარჯობა!“ სასწავლებელში მარტო მე ვიყავი ქართველი და ჩავთვალე, რომ ის „გამარჯობა“ მე მეკუთვნოდა და პასუხიც დავუბრუნე, თან მიმოვაღვლე ირგვლივ თვალი, რომ დამენახა იგი, მაგრამ ამაოდ. კიდევ გავიმეორე - „გამარჯობა!“ - და დავუმატე - რომელი ხარ-მეთქი. მაგრამ ამაოდ, პასუხი არ მიმიღია.

ასე განმეორდა მეორე დღეს, მესამე დღეს და, რაღა ბევრი გავაგრძელო, მთელი ერთი სემესტრის განმავლობაში ჩვენ ასე ვესალმებოდით ერთმანეთს, იმდენად იყო დაშინებული ის ახალგაზრდა ადგილობრივი უშიშროების სამსახურების მიერ.

ასე დასრულდა საქართველოსა და ირანულ-ქართველთა ურთიერთობის პირველი პერიოდი.

ამ პერიოდს შეიძლება ეწოდოს **ურთიერთგაცნობისა და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნების ხანა.**

მეორე პერიოდი:

რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, სწორედ ასეთი დაძაბული ვითარების ფონზე, 1972 წელს, მოხდა ირანიდან 21 ქართული ფერეიდნული ოჯახის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება.

მცდელობა კი სამშობლოში დაბრუნების შესახებ, როგორც ფერეიდნული ქართველი ვახტანგ ონიკაშვილი წერს, დაიწყო 1967 წელს, როცა 100 ოჯახმა მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ირანის მთავრობას ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნით. “დაიწყო „ბრძოლა“ ირანის მთავრობასა და ამ ხალხს შორის, რომელმაც ხუთ წელიწადს გასტანა, სანამ დადგებოდა ჩვენთვის ნანატრი 1972 წელი. ეს იყო ტანჯვის, წამების, აბუჩად აგდების, ცემის წლები...” (ონიკაშვილი, 2007: 71).

ასეთი რამის დაშვება ირანისთვის აღიქმებოდა როგორც მძიმე იდეოლოგიური დარტყმა, რის გამოც ირანის მთავრობას, სანაცვლოდ საბჭოთა კავშირისა, მათთვის შეუთავაზებია ნებისმიერ ევროპულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ჩასახლება და დახმარების გაწევაც კი.

როგორც იქნა, ახდა ირანულ ქართველთა 400 წლის ოცნება, ისინი დაბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, რასაც, რა თქმა უნდა, დიდი ემოციების გარეშე არ ჩაუვლია, მაგრამ რამდენიმე წელიწადში მივიღეთ ის, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდით. გარკვეული მიზეზების გამო, 9 ოჯახი დაბრუნდა უკან. თუ რა იყო ამის მიზეზი, ეს ცალკე განსჯის საგანია.

აქვე აღვნიშნავთ, დაბრუნებაც არის და დაბრუნებაც. მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწიათ მათ ამ გზაზე.

ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ **მრავალსაუკუნოვანი ოცნების ახდომის ხანა.**

მესამე პერიოდი:

მეოცე საუკუნის ბოლო ხანები გარდამტეხი აღმოჩნდა ცალკე ირანისა და ცალკე საქართველოსთვის. 1979 წელს ირანში მოხდა მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი რევოლუცია, რომლის შედეგადაც დაინგრა 2500 წლიანი ირანის სახელმწიფოს მონარქიული წყობა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა ირანის ისლამური რესპუბლიკა, ხოლო 1991 წელს საქართველომ მოიპოვა საუკუნეებით ნანატრი დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვა ირანსა და საქართველოს შორის, პირველად თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ისტორიაში, ერთმანეთთან თანაბარუფლებიანი, მეგობრული კავშირების დამყარება.

ორ ქვეყანას შორის დაიწყო მშვიდობიანი თანაარსებობა. პირველად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, 2001 წლის აპრილის თვეში, ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, მისი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: რევაზ მიშველაძე, გივი შულაროვი და პეტრე ცისკარიშვილი.

2001 წლის ივნისში ფერეიდანში ჩავიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ოფიციალურ ვიზიტთა გვირგვინი იყო 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩასვლა ფერეიდანში, საიდანაც, შეიძლება ითქვას, ახალი ეტაპი დაიწყო როგორც ზოგადად ირან-საქართველოს, ისე საქართველოსა და ფერეიდნელ ქართველთა ურთიერთობაში.

მეცნიერული ინტერესებით, სხვადასხვა დროს, ფერეიდანში ჩასულნი იყვნენ: თედო უთურგაიძე და დარეჯან ჩხუბიანიშვილი, ოთარ მიმინოშვილი, ნომადი ბართაია, მიხეილ როსტომაშვილი, მარინე ბერიძე, ლია ბაკურაძე, გიორგი სოსანიძე, რუსუდან რამიშვილი.

ფერეიდანში არა, მაგრამ ირანში გადასახლებულ ქართველთა კვალს ჩაჰყვნენ მაზანდარანში: პაატა ჯაფარიძე, ზვიად ცხვედიანი და თამარ დემეტრაშვილი.

ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ირანში 2013 წელს ქართველ მწერალთა და გამომცემელთა ჯგუფი, რომლებმაც მოინახულეს ფერეიდანი, შემდეგი შემადგენლობით: მინდია არაბული, ნომადი ბართაია, მარიამ ბაკურაძე, მაყვალა გონაშვილი, მანანა გორგიშვილი, გენრი დოლიძე, ზვიად კვარაცხელია, პეტრე კვარაცხელია (მამა პეტრე), მარეხ კეზუა, კახმეგ კუდავა, შალვა მაღლაკელიძე, ქეთი მატაბელი, ბელა შალვაშვილი, ირაკლი შამათავა, შორენა შენგელია, თემურ ჩალაბაშვილი და ნანა ჯაფარიძე.

ფერეიდანი მოინახულა საქართველოდან ირანში ოფიციალური ვიზიტით ჩასულმა ერთმა ჯგუფმა 2010 წელს შემდეგი შემადგენლობით: ანზორ შარაშენიძე, ნოდარ კობერიძე და ამ სტრიქონების ავტორმა.

ამ პერიოდში ფერეიდანზე წიგნები გამოაქვეყნეს: ზურაბ შარაშენიძემ - "ფერეიდნელი გურჯები", (შარაშენიძე, 1979); ოთარ მიმინოშვილმა - "ახლოა ფერეიდნაძე", (მიმინოშვილი 2000); ვახტანგ ონიკაშვილმა (ფერეიდნიდან ჩამოსული ქართველი) - "ფერეიდანი", (ონიკაშვილი, 2004); ავთანდილ სონღულაშვილმა - "ირანში ქართველთა ნაკვალევზე", (სონღულაშვილი 2005); ამბაკო ჭელიძემ - "ფერეიდნელი ქართველები", მეორე გამოცემა, (ჭელიძე, 2011); ვახტანგ გურულმა - "ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმებში

(1944-1951)“ (დოკუმენტური მასალების კრებული), (გურული, 2012).

ფერეიდნელთა მეტყველებისა და თუ ყოფის საკითხებს მეცნიერული ნაშრომები მიუძღვნეს: თეო ჩხეიძემ, თინათინ ჭავჭავაძემ, მათა მაჭავარიანმა, ჯემშიდ გიუნაშვილმა, თედო უთურგაიძემ, დარეჯან ჩხუბიანიშვილმა, მარინე ბერიძემ, ლია ბაკურაძემ, გიორგი სოსანიძემ, რუსუდან რამიშვილმა, გიორგი ჭიპაშვილმა, გიორგი გოცირიძემ...

არას გამბობთ ფერეიდნელებისადმი მიძღვნილ წერილებზე, რომლებიც გამოქვეყნდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

რა ხდება ამ დროს ირანში?

ფერეიდნელი თუ ირანელი ქართველები აქვეყნებენ სპარსულ ენაზე შემდეგ წიგნებს: მოჰამად სეფიანი, „ირანელი ქართველები, (სეფიანი, 1357); მალექ მოჰამად რაჰიმი, „ირანელი ქართველები“, (რაჰიმი, 1379); აბდ-ოლალი ჰეიდარი გორჯი, „ირანელ ქართველთა ისტორია“ (ჰეიდარი გორჯი, 1389).

გამოდის მეტად საინტერესო ნაშრომი საიდ მულიანისა - „ქართველთა ადგილი ირანის ცივილიზაციისა და კულტურის ისტორიაში“ (მულიანი, 2001).

ღევოლუციის შემდგომ ირანში ვითარება ყოველმხრივ შეიცვალა. ქვეყანამ, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად, იერი იცვალა. ხალხს მიეცა მეტი საშუალება ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებისა. იმ ცვლილებათაგან, რამაც თავი იჩინა ამ პერიოდის ფერეიდნელთა ცხოვრებაში, ეს არის ეროვნული იდენტობის გამოვლენის გააქტიურება. ფერეიდანში შეიქმნა ყურანის სწავლების საზაფხული სკოლა, სადაც გაიხსნა ენების, მათ შორის ქართული ენის შემსწავლელი კურსები. ამ სკოლამ რამდენიმე წელი იარსება.

მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია ის, რომ ფერეიდანში რამდენჯერმე გაიმართა „ქართული ენის ყრილობა“.

“ფერეიდნელთა დამოკიდებულება ქართული ენისადმი, საქებია“ - ასე ბრძანა ქართული ენისადმი მიძღვნილ მესამე ყრილობაზე ირანის ისლამური რესპუბლიკის სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის პრეზიდენტმა, ამჟამად საადის ცენტრის (ბონიადე საადი) ხელმძღვანელმა ბატონმა ლოლამ ალი ჰადად ადელმა („კალამი“ 2012; 15).

უნდა აღინიშნოს, რომ თეირანის უნივერსიტეტის უცხო ენების სწავლების ცენტრში უკვე მესამე წელია ისწავლება ქართული ენა (მასწავლებელია ფერეიდნელი ქართველი ანდრო ნაგელიანი).

ასევე მნიშვნელოვან მოვლენად მიგვაჩნია, რომ 2014 წელს ისპაჰანსა და ფერეიდანში იფიციალურად გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები (მასწავლებელია ფერეიდნელი ქართველი საიდ მულიანი).

ფერეიდნის ქუჩებში, მაღაზიათა აბრებზე, საფლავების ქვებზე, მანქანებზე... გაჩნდა ქართული წარწერები. ახალგაზრდები, ირანულის პარალერულად, ირქმევენ ქართულ სახელებს.

ირან-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებამ კიდევ უფრო დაახლოვა ერთმანეთთან საქართველოს ქართული მოსახლეობა და ირანელი ქართველობა.

ირანელი ქართველობა საქართველოს საპატრიარქოს, კერძოდ, კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ზრუნვის საგანი გახდა. უწორედ, მისი კურთხევით აშენდა მათთვის საცხოვრებელი სახლი თბილისის ერთ-ერთ უბანში, სწორედ პატრიარქი კურირებს ისტორიულ სამშობლოში ჩამოსული თითოეული ირანელი ქართველის საქმიანობას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში 2012 წელს გაიხსნა ერთწლიანი უფასო სკოლა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ირანელ ქართველთათვის.

ინტერნეტ სივრცეში, ქართულ ენაზე, მოთავსდა გიორგი ალავერდაშვილის მიერ ფერეიდნელებზე შექმნილი მრავალფეროვანი დასაინტერესო მასალა.

ამ პერიოდისმეტად მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში ჩატარებული ირანში ქართველთა გადასახლების 400 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველ და ირანელ მეცნიერთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია.

როგორც ქართული და ირანული მხარე ერთხმად აღნიშნავს, ფერეიდნელებს დიდი წვლილი შეაქვთ ირან-საქართველოს შორის მეგობრობის ხიდის მშენებლობაში.

ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ საქართველოსა და ირანელ ქართველთა შორის **თავისუფალ ურთიერთობათა ხანა**.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

პირველი პერიოდი სათავეს იღებს 1871 წლიდან, როცა საქართველოში ირანიდან პირველად ჩამოვიდა ფერეიდნელი ქართველი ათამ ონიკაშვილი და ჩამოიტანა ცნობა შაჰ-აბაბასის მიერ ირანში გადასახლებულ ქართველთა შესახებ. ეს პერიოდი მოიცავს მთელ საუკუნეს და მოდის 1971 წლამდე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **ურთიერთგაცნობისა და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნების ხანა**.

მეორე პერიოდი მოიცავს 1972-1996 წლებს, როცა ფერეიდნელ ქართველებს აუსრულდათ ოთხასი წლის ოცნება და ორ ათეულზე მეტი ოჯახი დაბრუნდა თავის ისტორიულ სამშობლოში. ამ პერიოდს შეიძლება დავარქვათ **ოცნების ახდენის ხანა**.

მესამე პერიოდი იწყება 1993 წლიდან, ანუ მას მერე, რაც ირან-საქართველოს შორის, მრავალსაუკუნოვანი კავშირების ისტორიაში,

პირველად დამყარდა თანაბარუფლებიანი სახელ-მწიფოებრივი ურთიერთობანი. ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ **თავისუფალ ურთიერთობათა ხანა**.

დამოწმებული ლიტერატურა:

- აღნიშვილი 1896** - ლადო აღნიშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები, ტფილისი, 1896;
- გურული 2012** - ვახტანგ გურული, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და ფერეიდანი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვა-ნელობის გეგმებში (1944-1951), თბილისი, 2012;
- თოდუა 1975** - მაგალი თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, თბილისი, 1975;
- „კალამი“ 2012**-ჟურნ. „კალამი“, ირანის ისლამური რესპუბ-ლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ორგანო, №12, თბილისი, 2012;
- მულიანი2001**, سعید مولیانى، جایگاه گرجی ها تاریخ فرهنگ ایران، - 1379، اصفهان;
- ონიკაშვილი 2004** — ვახტანგ ონიკაშვილი, ფერეიდანი, თბილისი, 2004;
- რაჭიმი 2001 - 1379** - ملک رحیمی گرجی های ایران (فریدون شهر)، اصفهان، 1379;
- სეფიანი 1980 -1358** - سپیانی، ایرانیان گرجی، اصفهان، 1358-1980;
- სონღულაშვილი 2005**-ავთანდილ სონღულაშვილი, ირანში ქართველთა ნაკვალევზე, თბილისი, 2005;
- „ქართლის ცხოვრება“ 1959**-„ქართლისცხოვრება“, II, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1959;
- შარაშენიძე 1979**-ზურაბ შარაშენიძე, ფერეიდნელი „გურჯები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 1979;
- ჭელიძე 2011** - ამბაკო ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბილისი, 2011;
- ჭიჭინაძე 1895** - ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველები სპარსეთში, თბილისი, 1895;
- ჰეიდარი გორჯი 2001** - عبدالعلی حیدری گرجی تاریخ گرجی های ایران، تهران، 1379.

Nomadi Bartaia / Kutaisi, Akaki Tsereteli State University/

Three Periods of Relations between Georgia and Iranian Georgians

Summary

We received the first news concerning Georgians exiled in Iran only in 1871, when a Fereydan Georgian first set foot on a Georgian soil.

Since then, the relationship between Georgia and Iranian Georgians can be divided into three periods:

The first period dates back to 1871, when a Georgian from Fereydan - Atam Onikashvili first arrived in Georgia from Iran and brought news about Georgians exiled in Iran by Shah-Abas. This period includes the whole century until 1971 and it can be called the era of acquaintance and dreams of returning to homeland.

The second period refers to 1972-1996 years, when, despite great difficulties, the 400-year-old dream of Fereydan Georgians came true and more than twenty families returned to their historical homeland. This period can be called the age of realized dreams.

The third period starts from 1993, when an equal political relationships were first established between Iran and Georgia. This period can be called the era of free relationships between Georgia and Iranian Georgians.